თსუ იურიდიული ფაკულტეტთან არსებული
თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის

სხდომის ოქმი №2

18 აპრილი, 2016 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფესორი ბესარიონ ზოიძე (ინსტიტუტის დირექტორი, სხდომის თავმჯდომარე)
2. პროფესორი ირაკლი ბურდული
3. ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია
4. ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქოჩაშვილი
5. ასისტენტ-პროფესორი ნათია ჩიტაშვილი
6. ასისტენტ-პროფესორი თამარ ზოიძე
7. ასისტენტი, დოქტორანტი გიორგი ამირანაშვილი (სხდომის მდივანი)

<u>დღის წესრიგი:</u>

საკითხი: კერძო სამართლის კვლევის სტუდენტური ჯგუფის შექმნა

<u>მოცემულ საკითხზე</u> მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი, ბესარიონ ზოიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ინსტიტუტის წესდება, მისი მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი იძლევა კერძო სამართლის კვლევის სტუდენტური ჯგუფის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც დაექვემდებარება განახლებას გარკვეული პერიოდულობით. სტუდენტური ჯგუფი კოორდინაციას (ორგანიზაციას) გაუწევს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევით საქმიანობას. სტუდენტებმა წარმოადგინეს სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც, ისინი ცალკეული მიმართულების მიხედვით განახორციელებენ კვლევით საქმიანობას. კერძოდ, ეს იქნება: სანივთო სამართლის, ვალდებულებითი/სახელშეკრულებო სამართლის, შრომის სამართლის, საერთაშორისო კერძო სამართლის, სამოქალაქო საპროცესო სამართლისა და სამოსამართლო სამართლის მიმართულებით.

მომხსენებელმა კრებას წარუდგინა დროებითი საინიციატივო ჯგუფი, რომელიც გაუწევს ორგანიზებას სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. კერძოდ, ესენია: 1. დუმბაძე მარიკა (ჯგუფის საერთო ხელმძღვანელი); სანივთო სამართლის მიმართულება (მარიკა დუმბაძე, მარიამ ბენიძე, თეკლე ზედელაშვილი); ვალდებულებითი/სახელშეკრულებო სამართლის მიმართულება (თამარ ხუხია, ეთო რუხაძე, ელისაბედ შენგელია); შრომის სამართლის მიმართულება (თინათინ ოდილავაძე, თამარ ბარამაშვილი, ირაკლი სვანაძე); საერთაშორისო კერძო სამართლის

მიმართულება (დათო კესარელი, ნიკოლოზ პოპიაშვილი); სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიმართულება (რევაზ დეკანოსიძე, დავით ღოლიჯაშვილი); სამოსამართლო სამართლის მიმართულება (ლაშა ზურაბიანი, გიორგი მელაძე, მარიამ კვარაცხელია).

სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს სტუდენტური ჯგუფის შექმნა და მათი დაინტერესება, კოორდინაცია გაუწიონ სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობას ინსტიტუტის მიზნების შესაბამისად.

პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ აღნიშნა, რომ რამდენადაც სტუდენტური ჯგუფის წევრების განახლება შეიძლება მოხდეს პერიოდულობით, მიზანშეწონილია ყოველი ცვლილება განხორციელდეს ინსტიტუტის ხელმძღვანელის მიერ, საბჭოს წევრებთან კონსულტაციის საფუძველზე.

<u>დაადგინეს:</u>

1. თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის ფარგლებში ჩამოყალიბდეს კერძო სამართლის კვლევის სტუდენტური ჯგუფი;

2. ამ ჯგუფის კოორდინაცია დაევალოს *მარიკა დუმბაძეს* (ჯგუფის საერთო ხელმძღვანელი; ბ) ხოლო, ცალკეული მიმართულების მიხედვით ჯგუფის წევრებად განისაზღვროს შემდეგი სტუდენტები: **სანივთო სამართლის მიმართულება** (*მარიკა დუმბაძე, მარიამ ბენიძე, თეკლე ზედელაშვილი*); **ვალდებულებითი/სახელშეკრულებო სამართლის მიმართულება** (*თამარ ხუხია, ეთო რუხაძე, ელისაბედ შენგელია*); **შრომის სამართლის მიმართულება** (*თინათინ ოდილავაძე, თამარ ბარამაშვილი, ირაკლი სვანაძე*); **საერთაშორისო კერძო სამართლის მიმართულება** *(დათო კესარელი, ნიკოლოზ პოპიაშვილი*); **სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიმართულება** *(რევაზ დეკანოსიძე, დავით ღოლიჯაშვილი*); **სამოსამართლო სამართლის მიმართულება** (*ლაშა ზურაბიანი, გიორგი მელაძე, მარიამ კვარაცხელია*).

3. გონივრული პერიოდულობით მოხდეს ჯგუფის წევრების გადახალისება.

ბესარიონ ზოიძე
თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი,
სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ამირანაშვილი
თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტის წევრი,
სხდომის მდივანი